სსიპ „კულტურის , სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“

აფხაზეთის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობის

(პროგრამის კოდი: 06 27 02)

განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. აფხაზეთის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობის განხორციელების წესი (შემდგომში „წესი“) განსაზღვრავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ასიგნებებით გათვალისწინებული ქვეპროგრამების: „კულტურული ინიციატივების“ (06270202); „ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობის“ (06270204); „საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის“ (06270205) ფარგლებში, დაფინანსების გაცემის პირობებსა და პროცედურებს.

2. ამ წესის შესაბამისად, პოექტების დაფინანსების მიზნით, სსიპ „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“ (შემდგომში - „სააგენტო“) ქმნის განაცხადების განმხილველ ორ კომისიას (შემდგომში - „კომისია“), კერძოდ „კულტურული ინიციატივებისა“ (06270202) და „ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობის, ასევე „საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის“ კომისია.

3. კომისიის შემადგენლობა და მისი მუშაობის წესი მტკიცდება სააგენტოს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 2. დაფინანსების მიმღები სუბიექტი

1. ამ წესით განსაზღვრული დაფინანსების მიმღები სუბიექტი, შეიძლება იყოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული პირი, გადასახადის გადამხდელი ინდივიდუალური მეწარმე, ასევე საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის ფარგლებში ნაშრომის ავტორი ფიზიკური პირი (შემდგომში „სუბიექტი“).

2. ქვეპროგრამა „საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის“ (06270205) ფარგლებში, შესაძლებელია დაფინანსდეს, როგორც შემოსული ინიციატივები, ისე სააგენტოს მიერ ინიცირებული პროექტები.

მუხლი 3. განაცხადის წარდგენა

1. დაფინანსების მისაღებად, ამ წესის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა იურიდიულმა პირმა, გადასახადის გადამხდელმა ინდივიდუალურმა მეწარმემ, ასევე საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის ფარგლებში ნაშრომის ავტორმა ფიზიკურმა პირმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სააგენტოს, რომელსაც თან

უნდა ერთვოდეს სრულყოფილად შევსებული **განაცხადის ფორმა** და მოთხოვნილი დოკუმენტაცია (შემდგომში „საპროექტო განაცხადი“)[1].

2. საპროექტო განაცხადის ფორმას და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას განსაზღვრავს სააგენტოს დირექტორი.

3. შესაბამისი ქვეპროგრამის კოორდინატორი ამოწმებს საპროექტო განაცხადის შესაბამისობას დადგენილ ფორმასთან და ამ წესთან მიმართებით. თუ, დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს ან/და არ არის წარმოდგენილი სააგენტოს მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, სააგენტო დაინტერესებულ სუბიექტს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 3 (სამი) სამუშაო დღეზე ნაკლები.

4. სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, დაფინანსების თაობაზე საპროექტო განაცხადი არ განიხილება.

5. თუ პროექტის განხორციელებამდე დარჩნილია 10 (ათი) კალენდარულ დღეზე ნაკლები, საპროექტო განაცხადი არ განიხილება.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილში მოცემული ვადა არ ვრცელდება იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომელთა მუდმივი ადგილსამყოფელი არის ოკუპირებული ტერიტორია.

7. დაინტერესებულ სუბიექტს შეუძლია განაცხადის რეგისტრაციისთვის მიმართოს სააგენტოს იურიდიულ მისამართზე: ქალაქი თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N68, მეხუთე სართული ან გამოაგზავნოს სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ მეილზე Info@csya.ge (ამ შემთხვევაში განაცხადზე გამოყენებული უნდა იქნეს ელექტრონული ხელმოწერა, გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ).

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული პირობები არ ვრცელდება სააგენტოს მიერ ინიცირებულ პროექტებზე. სააგენტოს მიერ ინიცირებული პროექტები პირდაპირ ეგზავნება შესაბამის კომისიას თანდართული დოკუმენტაციით (ნაშრომის ელ. ვერსია და ბაზრის კვლევის სამი ინვოისი).

9. სუბიექტის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ განცხადებას და შევსებულ სააპლიკაციო ფორმას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა. საბანკო რეკვიზიტები;

ბ. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;

გ. გადასახადის გადამხდელის მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

[1] განაცხადის ფორმა განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ გვერდზე www.csya.ge, ხოლო მოთხოვნილი დოკუმანტაციის ნუსხა მოცემულია ამ წესის მე-3 მუხლის მე-9 ნაწილში.

დ. ქვეპროგრამა „საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის“ (06270205) ფარგლებში, დაინტერესებულმა სუბიექტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ნაშრომი (ელექტრონული ვერსიის სახით) და ბაზრის კვლევის სამი ინვოისი.

10. სააგენტო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, პროექტთან დაკავშირებით, განმცხადებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის, ვიზუალური მასალის და სხვა ინფორმაციის წარდგენა.

11. სააგენტო უფლებამოსილია, თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, განმცხადებელს მოსთხოვოს თანადაფინანსების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

12. საპროექტო განაცხადი ორიენტირებული უნდა იყოს კულტურის სფეროს განვითარებაზე სააგენტოს პროგრამებისთვის გათვალისწინებული პრიორიტეტების შესაბამისად, კერძოდ, უნდა უზრუნველყოფდეს კულტურის ხელმისაწვდომობას, ქართულ - აფხაზური შემოქმედებითი პროცესების სტიმულირებას, ახალგაზრდა ხელოვანების საქმიანობის პოპულარიზაციას, კულტურის ტრადიციული და ახალი დარგების (საშემსრულებლო, ვიზუალური, შემოქმედებითი მიმართულებები და სხვა) გაძლიერებას, აფხაზური კულტურის ინტეგრირებას საერთო კულტურულ რუკაზე, მის გატანას საერთაშორისო დონეზე და ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობას, ასევე, დამოუკიდებელი სახელოვნებო ორგანიზაციების, ჯგუფების და ხელოვანების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელების ხელშეწყობას.

13. საპროექტო განაცხადი შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეპროგრამებით („კულტურული ინიციატივების“ 06270202; „ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობის“ 06270204; „საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის“ 06270205) განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან.

მუხლი 4. განაცხადის განხილვა და დაფინანსება

1. თუ სუბიექტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი აკმაყოფილებს ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო საპროექტო განაცხადს უგზავნის შესაბამის კომისიას.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ასიგნებებით გათვალისწინებული ქვეპროგრამებით: „კულტურული ინიციატივებით“ (კოდი: 06 27 02 02); „ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობით“ (კოდი: 06 27 02 04); „საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობით“ (კოდი: 06 27 02 05) გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება შესაძლოა განხორციელდეს დაფინანსებით ან თანადაფინანსებით.

3. განაცხადის განხილვისას და დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება განაცხადის შესაბამისობა ამ წესით დადგენილ პრიორიტეტებთან, პროექტის დასაბუთებულობა და ინტელექტუალური ღირებულება, აგრეთვე, განმცხადებლის გამოცდილება და უნარი განახორციელოს წარდგენილი პროექტი. ასევე, განხილვისას მხედველობაში მიიღება პროექტის ბიუჯეტის ოპტიმალურობა, თანადაფინასნების არსებობა და მოხალისეობრივი ჩართულობა.

4. დაფინანსებას ექვემდებარება საპროექტო განაცხადი შემდეგი მიმართულებით:

ა. **საპროექტო განაცხადი „კულტურული ინიციატივები“ (კოდი: 06 27 02 02);**
ა.ა. შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოები (აფხაზეთის კულტურის სფეროს ღვაწლმოსილი ხელოვანების შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების, საიუბილეო თარიღების, სხვადასხვა ტიპის გამოფენები, თანამედროვე ხელოვანთა შემოქმედებითი საღამოები);
ა.ბ.საშემსრულებლო ხელოვნევის მიმართულების პროექტები (თეატრალური წარმოდგენები,თეატრალური,მუსიკალური და ქორეოგრაფიული პერფორმანსები);
ა.გ. ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები;
ა.დ . ფესტივალები და კონკურსები (ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწიელობის ხელშწყობა);
ა.ე. ვიზუალური ხელოვნების მიმართულების ხელშეწყობის პროექტები (ფოტოგრაფია, თანამედროვე სტილის სხვადასხვა ინსტალაციები, მხატვრობა, სხვადასხვა ინოვაციური პროექტები, როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო გაცვლითი კულტურული ღონისძიებების ფარგლებში;
ა.ვ. თემატური ვორქშოფები/სემინარები.

ბ. საპროექტო განაცხადი „ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი: 06 27 02 04);
ბ.ა. ინკლუზიური პროექტები;
ბ.ბ ინკლუზიური თეატრალური პროექტები, კულტურულ-შემეცნებითი პროექტები;
ბ.გ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების ხელშემწყობი პროექტები, ვორქშოპები და სემინარები.

გ. საპროექტი განაცხადი „საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა“ (კოდი: 06 27 02 05)
გ.ა. აფხაზეთიდან დევნილი ავტორის მიერ ან აფხაზეთის თემაზე შექმნილი მხატვრული ლიტერატურის, პუბლიცისტური კრებულების, საისტორიო-სამეცნიერო ნაშრომების, კატალოგების, ხელოვნების სფეროს (მხატვრობა, ქორეოგრაფია, თეატრი) წარმომადგენლებზე მომზადებულ მხატვრული თუ დოკუმენტური წიგნების გამოცემის ხელშეწყობა;
გ.ბ. შემოსული ინიციატივებიდან ფინანსდება მხოლოდ ბეჭდვის კომპონენტი, არაუმეტეს 300 ეგზემპლარისა, სადაც სააგენტოს მიერ ცხადდება ელექტრონული ტენდერი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით).

5. დაინტერესებული სუბიექტების მიერ წარმოდგენილ სრულყოფილად შევსებულ განაცხადებს განიხილავს შესაბამისი კომისია, რომელიც ხმათა უმრავლესობით იღებს დაფინანსების თაობაზე დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას.

6. შენიშვნის არსებობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს შესწორებული საპროექტო განაცხადის წარმოდგენა კომისიის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, რომელიც ხელმეორედ წარედგინება კომისიას განსახილველად.

7. „კულტურული ინიციატივებისა“ (06270202) და „ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობის, ფარგლებში, თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს, განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილება (თანხის ოდენობის მითითებით) წარედგინება სააგენტოს დირექტორს.

8. „კულტურული ინიციატივებისა“ (06270202) და „ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობის, ფარგლებში, თუ წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს, განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, კომისია განაცხადის დაფინანსების შესახებ (თანხის ოდენობის მითითებით), რეკომენდაციით მიმართავს სააგენტოს დირექტორს, რათა მან აღნიშნული პროექტი ინფორმირებისთვის წარუდგინოს მაკონტროლებელ ორგანოს - აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს.

9. „საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის“ ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტი განცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილება წარედგინება სააგენტოს დირექტორს.

10. საპროექტო განაცხადის დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს დირექტორი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

11. მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

12. თუ განცხადი არ აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საპროექტოო განაცხადი კომისიას არ ეგზავნება განსახილველად და განმცხადებელს სააგენტოს მიერ ეცნობება დასაბუთებული უარყოფითი პასუხი.

13. ერთი და იმავე განმცხადებლის მიერ წარდგენილი განაცხადი შესაძლებელია დაფინანსდეს კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 2-ჯერ.

14. პროექტის დაფინანსება განხორციელდება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით (ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით), რომლის საფუძველს წარმოადგენს კომისიის მიერ დამოუკიდებელი, დადებითი გადაწყვეტილება (საოქმო გადაწყვეტილება).

15. პროგრამა არ მოიცავს ინვენტარისა და ძირითადი საშუალებების შეძენას.

მუხლი 5. ხელშეკრულების დადება

1. სააგენტოსა და დაფინანსების მიმღებ სუბიექტს შორის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების საფუძველია კომისიის გადაწყვეტილებაზე დაყრდონით, სააგენტოს დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პროექტის დაფინანსების ან თანადაფინანსების შესახებ.
3. ხელშეკრულების დადების, შეცვლის, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

4. ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ან/და ფორსმაჟორულ შემთხვევებში, სააგენტოსა და დაფინანსების მიმღებ სუბიექტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში თანხის,

ღონისძიების ადგილის, ვადების ან სხვა არსებითი პირობების ცვლილება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეთანხმების თანახმად.

მუხლი 6. თანხების ხარჯვის შესახებ ანგარიშის წარდგენა და კონტროლის განხორციელება

1. ამ წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებისა და პროექტის შესრულების კონტროლს ახორციელებს სააგენტო, წინასწარ განსაზღვრული მონიტორინგის მექანიზმებით:

ა. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს მონიტორინგი პროექტის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე (აღნიშნულთან დაკავშირებით ფორმდება მონიტორინგის ოქმი);

ბ. სუბიექტი ვალდებულია პროექტის დასრულების შემდეგ წარმოადგინოს ჩატარებული სამუშაოს ანგარიში;

გ. სუბიექტი ვალდებულია წარმოადგინოს პროექტის ამსახველი ფოტო ან ვიდეო მასალა.

2. დაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია (ღონისძიების დასრულების შემდგომ, არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა), წარმოადგინოს მიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია, სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული, „პროექტების შესრულების ანგარიშის ფორმის“ შესაბამისად.
3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ხარჯვის დამადასტურებელი, შესაბამისი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, პროექტი არ ანაზღაურდება სააგენტოს მიერ.

4. ფინანსური ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების შესაბამისად.

5. წარმოდგენილ დოკუმენტაციის სისწორეზე და ნამდვილობაზე პასუხმგებელია დაფინანსების მიმღები სუბიექტი.

მუხლი 7. დაფინანსების ადმინისტრირება

დაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია განახორციელოს ფინანსების ხარჯვა მიზნობრივად, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 8. ანგარიშსწორება
1. დაფინანსების მიმღებ სუბიექტს თანხა გადაერიცხება ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

2. დაფინანსების მიმღები სუბიექტის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში (მთლიანად ან ცალკეულ პუნქტებში) უცხოური ვალუტის (ლართან მიმართებით) სავარაუდო გაცვლითი კურსის მითითების შემთხვევაში, აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მხრიდან დაფინანსების მიმღებ სუბიექტს შესაბამის ანგარიშზე ჩაერიცხება მის მიერ მოთხოვნილი საერთო თანხა ლარში (იმ დროისათვის ეროვნული ბანკის მიერ არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად).

3. ქვეპროგრამა „საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის“ ფარგლებში, სააგენტო დაფინანსების მიმღებ სუბიექტთან ანგარიშსწორებას ახორციელებს ბეჭდური სახით გამოცემული ნაშრომების გადაცემის გზით.

4. დაფინანსების მიმღებისთვის გადასაცემი ბეჭდური სახის ნაშრომების ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით.